სოციალური სოლიდარობა
SOCIAL SOLIDARITY

საქართველოს მთიანი ჩებიონების ტურისტული განვითარებისათვის

www.experiencecaucasus.com

ჩჩევები სასოფლო ტურიზმის სფეროში დასაქმებული და დაინტერესებული პირებისათვის

2017

CZECH REPUBLIC
DEVELOPMENT COOPERATION

SlovakAid
GOOD IDEA SLOVAKIA

სასოფლო ტურიზმის განვითარებისათვის

სოფლის განვითარება დიდი ხელშეწყობის შემთხვევაშიც კი არ ხდება უცბად. საქართველოში ახლა ყალიბდება სოფლის განვითარების სისტემური პოლიტიკა. რამაც უნდა განაპირობოს სიღარიბის დაძლევა სოფლად, დაცლილი სოფლების აღორძინება.

დღის წესრიგში დგება ალტერნატიული, არასასოფლო სამეურნეო გზების ძიება სოფლის გაძლიერების მიზნით. ამის ერთ-ერთი პერსპექტიული გზაა სოფლად ტურიზმის განვითარება.

სასოფლო ტურიზმის ბიზნესი არაა დიდ დანახარჯებთან დაკავშირებული. ყველაზე დიდი ინფრასტრუქტურა თავად ბუნებამ შექმნა. ქართული სოფლების უმეტესობაში საცხოვრებელი, გარემო, მეურნეობა ეკოლოგიურად სუფთაა. შემონახულია ბევრი საინტერესო ტრადიცია, კულტურული მემკვიდრეობა. საჭიროა მხოლოდ იმ ცოდნის გამოყენება, რაც დაგროვილია მსოფლიოში სასოფლო ტურიზმის განვითარების სფეროში და სათანადო ორგანიზაციული ღონისძიებების გატარება.

რა არის სასოფლო ტურიზმი?

სასოფლო ტურიზმი საკმაოდ ფართო ცნებაა, იგი გულისხმობს ტურისტულ საქმიანობას სოფლის ტერიტორიაზე, სადაც არის პირობები როგორც გრძელვადიანი, ისე მოკლევადიანი დასვენებისათვის ესთეტიური, გამაჯანსაღებელი და შემეცნებითი მიზნით.

სასოფლო ტურიზმი მოიცავს:

- აგრო ტურიზმს - აქტიური დასვენება სოფლად, მონაწილეობა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში და სხვა.
- ეთნო ტურიზმს - გაცნობა სოფლად ცხოვრების ტრადიციების, ჩვეულების, ფოლკლორის, შინამრეწველობის, სამზარეულოს და სხვა;
- ეკოტურიზმს - გასვლა ბუნებაში დასვენების, გაცნობის, მოვლის მიზნით და სხვა;
- კულტურულ ტურიზმს - სოფელში და მის შემოგარენში არსებული მატერიალური კულტურის ძეგლების გაცნობა, მონაწილეობას მათ მოვლაში.
- გამაჯანსაღებელ ტურიზმს – ეკოლოგიურად სუფთა გარემო, ჯანსაღი საკვები, ფიზიკური აქტივობა, სულიერი განტვირთვა და სხვა ფაქტორები ასრულებენ გამაჯანსაღებელ როლს.

სასოფლო ტურიზმი განვითარებულ ქვეყნებში

1980 წლიდან, როცა ევროკავშირში შემოიღეს კვოტების სისტემა, მკვეთრად შემცირდა სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება. იტალიასა და საფრანგეთში აგროტურიზმი გახდა პროტექციონისტული პოლიტიკის ნაწილი. აგროტურიზმს უნდა შეეჩერებინა სოფლის მოსახლეობის დინება ქალაქად. იგი მალე იქცა ხელსაყრელ ბიზნესად.

სასოფლო ტურიზმის სფეროში იტალია ევროპაში აღიარებული ლიდერია.

ავსტრიაში გლეხური მამულების 10%-ზე მეტი ეწევა ტურისტულ მომსახურებას. სასოფლო ტურიზმი მთელი მსოფლიოს მასშტაბით ძალიან პროგრესულად მზარდი სფერია.

სასოფლო ტურიზმი პოსტსაბჭოურ სივრცეში

ცენტრალური ევროპის ქვეყნებმა (პოლონეთი, ბულგარეთი, რუმინეთი, ჩეხეთი და სხვა) სწრაფად განავითარეს სასოფლო ტურიზმი. ეს მიმართულება აყვანილია სახელმწიფო პოლიტიკის რანგში შესაბამისი ხელშეწყობით. შედეგად ათასობით სათანადო სტანდარტების სოფლის ტურისტული ობიექტი ფუნქციონირებს. პოლონეთში ძალიან აქტუალურია ე.წ. თემატური სოფლები. ანუ სოფელი სპეციალდება ერთი რომელიმე მიმართულებით. იმართება შესაბამისი ფესტივალები, ბაზრობები. უპერსპექტივო სოფლებში დაიწყო დაიწყო ტურისტების შემოდინება. უკვე აღიარება მოიპოვეს თაფლის, პურის, ქოთნის და სხვა სიოფლებმა.

ყოფილი საბჭოთა კავშირიდან მოწინავეობენ ბალტიის ქვეყნები, მათ კვალში მისდევენ უკრაინა და ბელორუსი. უკრაინაში სპეციალური კანონიც მიიღეს სოფლის ტურიზმის შესახებ. ბელორუსში რამდენიმე საინტერესო პროექტი ხორციელდება სახელმწიფო და დონორი ორგანიზაციების ხელშეწყობით დევიზით "სოფლის გადარჩენა ტურიზმით". საინტერესოა ის ფაქტი, რომ ბალტიის ქვეყნებში დაიმსხვრა სტერეოტიპი, თითქოს სოფლის ტურიზმი სეზონურია და მხოლოდ ზაფხულში მუშაობს. აქ ძალიან პოპულარული გახდა საშობაო-საახალწლო დღესასწაულების შეხვედრა სოფლის გარემოში, ზამთრის არდადეგების გატარება და სხვა. საზამთროდ ადგილების დაჯავშნა უკვე ზაფხულში ხდება.

სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში რამდენიმე პროექტი განხორციელდა აგრო ტურიზმის განვითარების მიზნით. ეს უფრო თეორიულ ხასიათს ატარებდა. სოფლად შეირჩა შესაფერისი მასპინძლები, გაკეთდა კატალოგები, ვებ-გვერდები, მაგრამ საქმე ამის იქით აღარ წასულა.

სასოფლო ტურიზმი საქართველოში

საქართველოში სოფლად დასვენების ტრადიცია ოდითგანვე არსებობს. ქალაქის მცხოვრებნი უმეტესად სოფლიდან არიან წარმოშობით და ზაფხულში უბრუნდებიან წინაპართა კერას. ტრადიციულად თბილისის შემოგარენში არსებული სოფლები იღებენ ზაფხულში დამსვენებლებს და აქ შესაბამისი ინფრასტრუქტურაც მეტ-ნაკლებად არსებობს. მაგრამ დამსვენებლებით გადატვირთვის, პროდუქტების ბაზარზე დამოკიდებულობის და სხვა მიზეზების გამო აქ დამსვენებლებს ნაკლებად ექმნებათ სოფელში ყოფნის განცდა. ამიტომ გაჩნდა მოთხოვნილება დედაქალაქიდან მოცილებულ რეგიონებში დასვენების, მაგრამ შემაფერხებელი ფაქტორია ინფორმაციის დეფიციტი, იმ ელემენტარული კომფორტის უქონლობა, რისი მოთხოვნილებაც დამსვენებელს გააჩნია და მომსახურების დაბალი კულტურა.

ინდივიდუალურად და სხვადასხვა ორგანიზაციების, სახელმწიფო პროგრამების მხარდაჭერით ცალკეულმა სოფლის მაცხოვრებლებმა დაიწყეს ბინების მოწყობა ტურისტების მიღების მიზნით და უკვე ახერხებენ როგორც ადგილობრივი, ისე უცხოელი ტურისტების მიღებას, მაგრამ ამას ფრაგმენტული ხასიათი აქვს და ეს საქმე სისტემაში არაა მოყვანილი. ამასთანავე პრაქტიკულად არ არსებობს აქტიური თანამშრომლობა თავად სოფლის ტურისტულ ობიექტებს შორის, რაც მეტად აქტუალურია.

სოფლის გარემოში საოჯახო სასტუმროების შექმნას მნიშვნელოვანი ბიძგი მისცა როგორც მოთხოვნილების ზრდამ, ისე მიკრო და მცირე ბიზნესის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამამ, რომლის ფარგლებში მრავალი საოჯახო სასტუმრო შეიქმნა.

მცხეთა-მთიანეთის რეგიონი საქართველოს მნიშვნელოვან რეგიონს წარმოადგენს ტერიტორიით, ბუნებრივი პირობებით, მატერიალური კულტურის ძეგლებით, სამეურნეო

და ტურისტული ტრადიციებით და სხვა. აქ უდიდესი პოტენციალი არსებობს სასოფლო ტურიზმის განვითარებისათვის.

იმისათვის რომ სოფელში ოჯახმა ხელი მოჰკიდოს ტურიზმს, აუცილებელია მისთვის რეალური სტიმულები და ხელშემწყობი ფაქტორები, ასეთებია:

- კონსულტაციები, სწავლება;
- მსოფლიო და ადგილობრივი გამოცდილების გაცნობა;
- მეთოდური მასალებით უზრუნველყოფა;
- შექმნილი ტურპროდუქტის რეალიზებაში ხელშეწყობა;
- ფინანსების წყაროების ცოდნა.

პრაქტიკამ დაგვანახვა, რომ აუცილებელია სოფლის ტურიზმში ჩართულ ობიექტებს შორის არა მარტო კოორდინაცია, არამედ უშუალო თანამშრომლობის მექანიზმების შექმნაც. ამასთანავე ეს ობიექტები უნდა მოიცავდეს მთელ საინტერესო არეალს რეგიონში და მათ შორის ჯაჭვური კავშირი უნდა იყოს. ანუ უნდა დაიდოს ერთობლივი ტურპროგრამები.

საოჯახო სასტუმროებისათვის განვითარებისათვის

საოჯახო სასტუმროების მრავალი სტანდარტი არსებობს, მათ შორის ქართული შემუშავებულიც (ელკანა). ევროპის ეკოლოგიური და სასოფლო ტურიზმის ცენტრის (http://eceat.org/) სტანდარტებით სარგებლობის შემთხვევაში ხდება გაერთიანება ამ ცენტრის ქსელში და ობიექტის შესახებ ინფორმაციის გავრცელება ავტომატურად ხდება შესაბამისი ვებ-გვერდის საშუალებით. ამისათვის კი საკმარისია აკმაყოფილებდეთ ონლაინ კითხვარში დასმულ პირობებს, რომელიც ამ ბროშურაშიც გვაქვს ნიმუშად მოტანილი. ხშირად ევროპული სტანდარტი რაღაც განსაკუთრებულის, რთულის ასოციაციას იწვევს, მაგრამ ამ კითხვარს რომ ნახავთ, დარწმუნდებით, რომ რაიმე განსაკუთრებულთან არ გვაქვს საქმე და მონდომების შემთხვევაში მისი შესრულება სრულიად შესაძლებელია.

რა უნდა ვიცოდეთ საოჯახო სასტუმროების, ზოგადად საცხოვრებლის მოწყობისას?

უკანასკნელი 30-35 წლის განმავლობაში განვითარებულ ქვეყნებში რევოლუცია დაიწყო სამშენებლო სფეროში, როცა ბრუნვაში შემოვიდა და დამკვიდრდა ცნებები: ეკოსახლი, მწვანე სახლი, ენერგოეკონომიური და ენერგოეფექტური ნაგებობა და სხვა. თავიდან ეს ტარდებოდა როგორც ეკოლოგიური ღონისძიება, გარემოზე მავნე ზემოქმედების შემცირების მიზნით, შემდეგ დაემატა ჯანსაღი სახლის ცნება, ხოლო ბოლო წლებში ენერგო რესურსებზე ეკონომიური მოთხოვნილებაც.

დღეისათვის უამრავი ტექნოლოგია, მეთოდი და მასალაა შექმნილი ეკომშენებლობისათვის. საქართველოში საუკუნეების მანძილზე მშენებლობა დღევანდელი გაგებით ეკოლოგიური ნორმებით ტარდებოდა. მეოცე საუკუნემ მოგვწყვიტა ბუნებრიობას და ოცდამეერთეშიც მისი ინერციით მივექანებით...

ზოგადი რჩევები

არქიტექტურულად მაქსიმალურად უნდა იქნეს შენარჩუნებული ადგილობრივი, ტრადიციული სტილი. საერთოდ უნდა გამოირიცხოს უცხოური კოტეჯების ანალოგების გაკეთება. ნაგებობა ჰარმონიულად უნდა ეწერებოდეს არსებულ ბუნებრივ ლანდშაფტში.

მაქსიმალურად უნდა იქნეს გამოყენებული ადგილობრივი ნატურალური მასალები. შემოტანილი მასალები უნდა პასუხობდეს ეკოლოგიურ მოთხოვნებს.

საერთოდ უნდა გამოირიცხოს აზბესტშემცველი მასალების (გადახურვის შიფერი) გამოყენება და სადაც არის, უნდა შეიცვალოს. (აზბესტი მოწინავე მსოფლიოში ამოღებულია ხმარებიდან კანცეროგენულობის გამო).

კითხვარი საოჯახო სასტუმროებისათვის (http://eceat.org)

ECEAT-ის საბაზისო სტანდარტი

ამ უფასო ტესტის საშუალებით თქვენ შესაძლებლობა გეძლევათ გაიგოთ, თუ რამდენად აკმაყოფილებს ის ECEAT-ის მოთხოვნებს.

თუ თქვენი განთავსების ობიექტი გაივლის ამ ტესტს, თქვენ გადაგაგზავნიან ECEAT-ის ხარისხის ნიშნის მიღების დასრულების სტადიაზე, სადაც კიდევ რამდენიმე დეტალი დაემატება.

ეს მოკლე ტესტი სულ რამდენიმე წუთს საჭიროებს, რის შემდეგაც თქვენ დგახართ ოფიციალური სერთიფიკატის მიღების გზაზე.

ნაბიჯი 1–ECEAT-ის ხარისხის ნიშნისაკენ

1. საბაზისო სტანდარტი ყველა ტიპის განთავსების ობიექტებისათვის

1. წარმოებს თუ არა სტუმრების რეგისტრაცია?

○ კი ○ არა

2. არის თუ არა ყველა უსაფრთხოების ნორმა დაცული? (კვამლის დეტექტორი, საევაკუაციო გეგმა, სახანძრო წერტილი (ცეცხლმაქრი), მშენებლობის უსაფრთხოება და ა.შ.)

○ კი ◉ არა

3. დაცულია თუ არა ჰიგიენის და სურსათის უვნებლობის წესები და ნორმები?

○ კი ○ არა

4. გაქვთ თუ არა უსაფრთხო სასმელი წყლით უზრუნველყოფა?

○ კი ○ არა

5. რამდენად დაცულია უსაფრთხოების შესაბამისი ზომები რათა არ მოხდეს ცხოველების დაავადებების გავრცელება სტუმრებზე?

○ არარისდაცული ○ დაბალ დონეზე ○ საშუალო დონეზე ○ მაღალ დონეზე

6. არსებობს თუ არა პირველადი დახმარების კომპლექტი?

○ კი ○ არა

7. სტუმრები არიან გაფრთხილებული იმ მოსალოდნელი საფრთხეები შესახებ, რომლებიც შეიძლება იყოს ობიექტის ტერიტორიაზე ან მასთან ახლოს, განსაკუთრებით ბავშვებისათვის (მაგ: თხრილი, ხევი, ძაღლები, ველური ცხოველები და ა.შ.)

○ კი ○ არა

8. დაცულია შენობისა და სტუმართა ნივთების უსართხოება(შემნახველი უჯრები, კარების საკეტები საძინებელ ოთახებში, უსაფრთხო პარკინგ ზონა მანქანებისთვის).

○ კი ○ არა

ხარისხის ძირითადი მოთხოვნები

თქვენი განთავსება და დამხმარე პერსონალი

1. რამდენად შესაძლებელია ობიექტამდე მოსვლა რუკის დახმარებით ან სხვა დამხმარე მოწყობილობით (მაგ. ვებ-გვერდის საშუალებით) ?

○ შესაძლებელია ○ არ არის შესაძლებელი

2. რამდენად კეთილგანწყობილი გარემოა ? არის თუ არა სასიამოვნო და მეგობრული ატმოსფეროს?

○ შექმნილია სასიამოვნო გარემო ○ არ არის შექმნილი შესაბამისი გარემო

3. რამდენად მიღებულია სხვა რელიგიის, რასის და სექსუალური ორიენტაციის სტუმრების ვიზიტი?

○ მისაღებია ○ არ არის მისაღები

4. იმ შემთხვევაში, თუ ერთი სტუმარი ხმაურობ აბინძურებს გარემოს და აწუხებს სხვა სტუმრებს, რამდენად ჩაერევით ამ საქმეში? და მისცემთ თუ არა გაფრთხილებას?

○ კი ○ არა

5. თუ სტუმარი მოვიდა და თქვენ გაქვთ ადგილი, მაგრამ არ გყავთ შესაბამისი მომსახურების პერსონალი, მიიღებთ თუ არა სტუმარს?

○ კი ○ არა

6. რამდენად უზრუნველყოფთ სისუფთავეს ნომრებსა და მის შემოგარენში?

○ დაბალდონეზე ○ ნაკლებად ○ საშუალო დონეზე ○ მაღალ დონეზე

ძირითადი ინფორმაცია, კომუნიკაციის სტანდარტები

1. ყველა ფასები დადგენილია წინასწარ და არ იცვლება?

○ კი ○ არა

2. გაქვთ თუ არა სია, სადაც ნაჩვენებია ის დამატებითი სერვისები და მომსახურება, რომელიც შესაძლოა შეთავაზებული იყოს სტუმრებისათვის?

○ კი ○ არა

3. გაქვთ თუ არა განთავსების წესები?

○ კი ○ არა

4. გაქვთ თუ არა ინფორმაცია მიმდებარე არეალის შესახებ და შესაბამისი რუკები?

○ კი ○ არა

5. გაქვთ თუ არა ინფორმაცია საზოგადოებრივ ტრანსპორტზე თქვენს რეგიონში?

○ კი ○ არა

6. გაქვთ თუ არა სია, სადაც მითითებულია სატელეფონო ნომრები (სამედიცინო ცენტრი, პოლიცია, სახანძრო და ა.შ.)

○ კი ○ არა

7. ამ კითხვარის ასლი ხელმისაწვდომი იქნება თუ არა სტუმრებისათვის?

○ კი ○ არა

1. ძირითადი სტანდარტები PER ტიპის საცხოვრებელი

☐ თვითმართვადი სასტუმროები. სთავაზობთ თუ არა განთავსებას ერთჯერადი კვებით (დილით)

არის თუ არა საკარვე ადგილი

☐

გარემოს დაცვის საინფორმაციო მომსახურება სტუმრებისათვის

1. სტუმრებს ეცნობათ თუ არა ინფორმაცია მდგრადი, ეკოლოგიური ღონისძიებების შესახებ. ან რამდენად ხელმისაწვდომია ინფორმაცია მაგ:ფლორასა და ფაუნაზე, ადგილობრივი კულტურაზე და ა.შ.

○ კი ○ არა

2. ეცნობიან თუ არა სტუმრები რისი გაკეთება შეიძლება და რისი არა ეკოლოგიის და გარემოს შესანარჩუნებლად. (მაგ: აკრძალული შეიძლება იყოს შიგაწვის ძრავით გადაადგილება, იშვიათი მცენარეების ნაყოფების კრეფა, ტყეში ცეცხლის დანთება და ა.შ.)

○ კი ○ არა

ეკოლოგიური მიწათსარგებლობის მხარდაჭერა

1. იყენებთ თუ არა ქიმიურ დანამატებს მოსავლის მოსაყვანად?

○ კი ○ არა

2. სთავაზობთ თუ არა სტუმრებს ადგილობრივ ან რაიონული წარმოების პროდუქტებს?

○ კი ○ არა

3. გაქვთ თუ არა ცხოველებისთვის ცალკე მოწყობილი შესაბამისი სადგომი?

○ კი ○ არა

4. იყენებთ თუ არა ხელოვნურ სასუქს?

○ კი ○ არა

წყლისა და ენერგიის ეფექტური გამოყენება

1. თეთრეულის შეცვლა ხდება მოთხოვნით?

○ კი ○ არა

2. რამდენად მოწყობილია წყლის სისტემა?

○ დაბალდონეზე ○ მაღალ დონეზე

3. სტუმრებისათვის რამდენად ხელმისაწვდომია სუფთა წყალი და ელექტრო ენერგია

○ დაბალდონეზე ○ მაღალ დონეზე

4. არსებობს თუ არა რაიმე ზომა, რათა მოხდეს წყლისა და ენერგიის დაზოგვა და შეთავაზებული იქნას ალტერნატივები?

○ კი ○ არა

მწვანე მშენებლობის პოლიტიკა

1. შენობაში რამდენად არის გამოყენებულია უსაფრთხო მასალები რომლებიც ნაკლებ ზიანს აყენებს ადამიანის ჯანმრთელობას და გარემოს.

○ გამოყენებულია ○ არ არის გამოყენებული

ნარჩენები

1. ნარჩენების დამუშავება (თავიდან მოშორება) ხდება ადგილობრივი კანონის ფარგლებში?

○ კი ○ არა

2. არის თუ არა შესაძლებელი ნარჩენების დახარისხება?

○ კი ○ არა

3. მოწესრიგებული გაქვთ თუ არა კანალიზაცია ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად?

○ კი ○ არა

4. იღებთ თუ არა გარკვეულ ზომებს, რათა შეამციროთ ნარჩენები?

○ კი ○ არა

Soft მობილურობა

1. საზოგადოებრივი ტრანსპორტის გრაფიკი თუ არის გაკრული თვალსაჩინოდ დაფაზე?

○ კი ○ არა

2. გაქვთ საშუალება რომ გააქირავოთ ველოსიპედები?

○ კი ○ არა

3. პირველ რიგში ტურიზმის მიმართულებით განვითარებისათვის რამდენად გამოიყენებდით ისეთ აქტივობებს როგორიცაა. ველოსიპედი, ლაშქრობა და ა.შ.

○ კი ○ არა

4. რამდენად გაქვთ ათვისებებული ადგილობრივი ბუნებრივი შესაძლებლობები?

○ კი ○ არა

ბუნების შენარჩუნება

1. რამდენად ხელს უწყობთ ველური ბუნების განვითარებას?

○ დაბალი ○ საშუალო ○ მაღალი

2. რამდენად ეხმარებით თქვენს გარშემო ფლორასა და ფაუნას განვითარებაში?

○ დაბალი ○ საშუალო ○ მაღალი

3. გაქვთ თუ არა ბაღი ან სხვა მეურნეობა ?

○ კი ○ არა

4. ჩართული ხართ თუ არა რაიმე ღონისძიებაში, რომელიც ხელს უწყობს ბუნების განვითარებას?

○ კი ○ არა

მდგრადი კულტურული მემკვიდრეობის აქტიური წვლილი

1. ყურადღებას აქცევთ ტრადიციულ სამშენებლო ხელოვნებას?

○ კი ○ არა

2. ყურადღებას აქცევთ ადგილობრივ სამზარეულოს?

○ კი ○ არა

3. რამდენად დაცულია ადგილობრივი კულტურა ზეგავლენისგან?

○ დაბალი ○ საშუალო ○ მაღალი

4. ატარებთ ღონისძიებებს, რათა დაცული იქნას ადგილობრივი კულტურა ზეგავლენისგან?

○ კი ○ არა

აქტიური წვლილი ადგილობრივ ეკონომიკაში

1. პირველ რიგში, ყიდულობთ თუ არა ადგილობრივ პროდუქტს და იყენებთ თუ არა ადგილობრივ მომსახურებას?

○ კი ○ არა

2. სტუმრებს პირველ რიგში სთავაზობთ თუ არა ადგილობრივ პროდუქტსა და მომსახურებას?

○ კი ○ არა

3. მხარს უჭერთ ადგილობრივ ეკონომიკის განვითარების სხვა გზებს?

○ კი ○ არა

მომავალი

1. გააუმჯობესებთ თუ არა ეკოლოგიურ და შიდა მომსახურებას მომავალში?

○ კი ○ არა